მესამე გოგონა

აგათა კრისტი

2015-12-14



აგათა კრისტი

აგათა კრისტი - 125
დეტექტივის ოქროს კოდექცია

2015 წელი ბრიტანელი მწერლის, დეტექტიური ჟანრის ყველაზე ცნობილი ავტორის, აგათა კრისტის საიუბილეო წელია. დაბადებიდან 125 წლის იუბილეს მიეძღვნა «გამომცემლობა პაღიტრა L»-ის ახალი სერია «დეტექტივის ოქროს კოლექცია».

სერიის თითოეული ტომი დამოუკიდებელ ნაწარმოებს მოიცავს. შეირჩა საუკეთესო და ყველაზე პოპულარული ნაწარმოებები, რომლებიც ქართველი მკითხველისთვის ორიგინალიდან ითარგმნა, და ბევრი მათგანი – პირველად.

აგათა კრისტის დეტექტივები გამოცემების რაოდენობით მსოფლიოში მხოლოდ ერთ ავტორს, უილიამ შექსპირს ჩამორჩება – «დეტექტივების დედოფლის» წიგნები მთელ მსოფლიოში 4 მილიარდ ეგზემპლარზე მეტი გაიყიდა და 100 ენაზე ითარგმნა.

გამჭრიახი გონებისა და საოცარი აღღოს მქონე მაძებარი, ექსცენტრიკული ერკიულ პუარო, მის მარპლი, კაპიტანი ჰასთინგზი, ტომისა და ტაპენსის ოჯახური წყვილი – ასეთია მკითხველის საყვარელი გმირების გალერეა. ამიტომაც დაიმკვიდრა აგათა კრისტის შემოქმედებამ კაცობრიობის კულტურულ საგანძურში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი და მისი დეტექტივები დღემდე არა მხოლოდ ამ ჟანრის მოყვარულთა საყვარელი საკითხავია.

მთარგმნელი თამარ ჭოხონელიძე
რედაქტორი ლია შარვაშიძე
კორექტორები: მაია შველიძე, ლიკა თავართქილაძე
დიზაინერი ლაშა გიორგაძე
ტექნიკური რედაქტორი ლევან კოღუაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა დათო მოსიაშვილი
პროექტის მენეჯერი თინათინ ასათიანი

© გამომცემლობა პაღიტრა L, 2015
ყველა უფლება დაცულია

THIRD GIRL © 1966 Agatha Christie Limited. All rights reserved.
AGATHA CHRISTIE, POIROT and the Agatha Christie Signature are registered trade marks of Agatha Christie Limited in the UK and/or elsewhere. All rights reserved.
The Agatha Christie Roundels Copyright © 2013 Agatha Christie Limited. Used by permission

ეძღვნება ნორა ბლეკმორს

თავი I

ერკიულ პუარო სასაუზმოდ მაგიდას მისჯდომოდა. მარჯვენა ხელთან ცხელი შოკოლადით სავსე ფინჯანი ედგა. პუარო ტკბილეულის დიდი მოყვარული გახლდათ. ცხელ შოკოლადს ბრიოშს[1] აყოლებდა. ეს ფუნთუშა ძალიან უხდებოდა შოკოლადის სასმელს. პუარომ თავის დაქნევით დაადასტურა ეს. ამ დილით ოთხი pâtisserie[2] შემოიარა და ბოლოს ბრიოში იმ დანიურ საცხობში იყიდა, რომელიც ახლომდებარე ფრანგულ საცხობს ბევრად სჯობდა. წმინდა წყლის ყალთაბანდობა იყო და მეტი არაფერი.

პუარო განცხრომაში იყო. კუჭი დაუცხრა. გონებაც დამშვიდებული ჰქონდა, შესაძლოა, მეტისმეტადაც კი. პუარომ ეს-ეს არის დაასრულა უდიდესი ნაშრომი, დეტექტიური ლიტერატურის დიადი მწერლების ანალიზი. მან გაბედა და მწვავედ გააკრიტიკა ედგარ აღან პო[3], უილკი კოლინზს[4] კი რომანტიკული გრძნობების გამოხატვაში მეთოდისა და თანამიმდევრობის უკმარისობა დასდო ბრალად, სამაგიეროდ, ცამდე აიყვანა ხოტბით ორი, თითქმის უცნობი ამერიკელი ავტორი, საქებარი სიტყვები არ დაიშურა მისთვის, ვინც ღირსი იყო, და მკაცრად გაკიცა ის, ვინც, მისი აზრით, კეთილ სიტყვას არ იმსახურებდა. პუარომ გადაათვალიერა სტამბიდან გამოტანილი წიგნი და მიუხედავად ბეჭდვის დროს დაშვებული მრავალი შეცდომისა, აღიარა, რომ ყველაფერი კარგად გამოვიდა. ტკბებოდა წიგნზე მუშაობით და იმ უამრავი საკითხავით, რომელთა გაცნობამაც მოუწია, სიამოვნებდა ზიზღის გამომხატველი ამოოხვრა, როდესაც წიგნს იატაკზე მოისვრიდა ხოლმე (თუმცა არასდროს ავიწყდებოდა ადგომა, დაბღა დავარდნილი წიგნის აღება და სანაგვე ყუთში მისი აკურატულად ჩადება), და ის იშვიათი შემთხვევებიც სიამოვნებდა, როდესაც აღფრთოვანებული მოწონების ნიშნად თავს აკანტურებდა.

და ახლა რაღა იქნებოდა? პუაროს დასვენების სასიამოვნო შუალედი ჰქონდა, რომელიც ასე საჭირო იყო გონებრივი შრომის შემდეგ. მაგრამ ადამიანი მუდმივად ხომ ვერ დაისვენებს, ახალ საქმეს უნდა მოჰკიდოს ხელი. სამწუხაროდ, პუაროს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რა იქნებოდა ეს ახალი საქმე. კიდევ ერთი ლიტერატურული გამარჯვება? პუარო ასე არ ფიქრობდა. «გააკეთე საქმე კარგად და მეორეჯერ აღარ მიუბრუნდე!» — ეს გახლდათ მისი პრინციპი. მაგრამ საქმე ის იყო, რომ პუარო უკვე მოწყენილი იყო. დაძაბული გონებრივი მუშაობა, რომელიც სიამოვნებას ჰგვრიდა, მეტისმეტად ინტენსიური გამოდგა. მან პუაროს მავნე ჩვევები შესძინა, დაუდეგარი გახადა...

— დასანანია! — პუარომ თავი გააქნია და კიდევ ერთი ყლუპი ცხელი შოკოლადი მოსვა.

კარი გაიღო და მოწიწებითა და ოდნავ დამნაშავის გამომეტყველებით პუაროს ერთგული მსახური, ჯორჯი, შემოვიდა, ჩაახვეალა და ჩაიბუტბუტა:

— ჰმ... — შეჩერდა, — ახალგაზრდა ქალბატონი გკითხულობთ.

პუარომ მსახურს გაკვირვებული და ოდნავ ზიზღნარევი მზერით შეხედა.

— მე ამ დროს სტუმრებს არ ვიღებ, — უთხრა ჯორჯს საყვედურით.

— დიახ, არ იღებთ, სერ, — დაეთანხმა მსახური.

ბატონმა და მსახურმა ერთმანეთს შეხედეს. მათი საუბარი ზოგჯერ სირთულეებთან იყო დაკავშირებული: კიდოს ცვლილებით, მინიშნებებითა თუ სიტყვების შერჩევით ჯორჯი ბატონს აგრძნობინებდა, რომ სწორად დასმული კითხვის პასუხად რაღაც მნიშვნელოვანს გაიგებდა. პუარო დაფიქრდა, რა შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ეკითხა.

— ის ახალგაზრდა ქალბატონი მომხიბლავია? — იკითხა პუარომ წინდახედულად.

— ჩემი აზრით, არა, სერ, მაგრამ გემოვნებაზე არ დავობენ.

პუარომ აწონ-დაწონა მსახურის პასუხი. მას გაახსენდა ხანმოკლე პაუზა, რომელიც

ჯორჯმა გააკეთა, სანამ წარმოთქვამდა ფრაზას «ახაღგაზრდა ქაღბატონი». ჯორჯი მეტისმეტად ფრთხიღი ბრძანდებოდა ადამიანებთან ურთიერთობაში. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ზუსტად არ იცოდა სტუმრის საზოგადოებრივი მდგომარეობა, არჩია, თავი შეეკავებინა ვარაუდის გამოთქმისგან.

— ფიქრობ, რომ ის ახაღგაზრდა ქაღბატონია და არა, ვთქვათ, უბრაღოდ ახაღგაზრდა ქაღი?

— ასე მგონია, სერ, თუმცა ამას დღეს ზუსტად ვერავინ გეტყვით, — უთხრა ჯორჯმა წრფეღი გუღისტკივიღით.

— გითხრა მიზეზი, რატომაც უნდა ჩემი ნახვა?

— როგორც მითხრა... — ჯორჯმა ეს სიტყვები ყოყმანით თქვა, თითქოს მათთვის წინასწარ იხდიდა ბოდიშს, — უნდა დაგეღაპარაკოთ იმ მკვღეღობის შესახებ, რომეღიც შესაძღოა, ჩაიდინა.

გაოცებუღმა ერკიუღ პუარომ წარბები აზიდა.

— შესაძღოა, ჩაიდინა? ზუსტად არ იცის, ჩაიდინა თუ არა?

— თავად ასე მითხრა, სერ.

— არადამაკმაყოფიღებეღია, მაგრამ შეიძღება საინტერესო იყოს, — თქვა პუარომ.

— შესაძღოა, ხუმრობს, სერ, — თქვა ჯორჯმა დაეჭვებით.

— ყვეღაფერი შესაძღებეღია, მე ასე ვფიქრობ, — თქვა პუარომ, — მაგრამ რთუღი წარმოსადგენია... — პუარომ ფინჯანი აიღო, — ხუთი წუთის შემდეგ შემოიყვანე ჩემთან.

— დიახ, სერ, — ჯორჯი ოთახიდან გავიდა.

პუარომ ცხეღი შოკოღადი ბოღომდე დაღია. შემდეგ ფინჯანი განზე გასწია და წამოდგა. ბუხართან მივიდა და მის თავზე დაკიდებუღ სარკეში უღვაში გუღდასმით შეისწორა. შემდეგ კმაყოფიღი დაუბრუნდა თავის სკამს და სტუმარს დაუწყო ღოდინი. პუარომ არ იცოდა, სახეღდობრ, რისი მოღოდინი უნდა ჰქონოდა...

შესაძღოა, მოუღოდნეღი სტუმარი მართღაც მომხიბღავი გამოდგეს. პუაროს უცებ თავში გაუეღვა გაცვეთიღმა ფრაზამ: «მწუხარე მზეთუნახავი». თუმცა, როდესაც ჯორჯი სტუმარს ოთახში შემოუძღვა, იმედი გაუცრუვდა; გუღში თავი გადააქნია და ამოიოხრა: არც მზეთუნახავი იყო და არც დიდი მწუხარება ეტყობოდა. უფრო დაბნეუღი ჩანდა.

«ფუი! — გაიფიქრა პუარომ ამრეზით, — ეს გოგონები სუღ არ ცდიღობენ, რაღაცას დაემსგავსონ! მაკიაჟი რომ ჰქონდეს, მოხდენიღად ეცვას და კარგ პარიკმახერთან დაევარცხნა თმა, კიდევ, ჰო, შეხედავდი კაცი, მაგრამ ახღა!»

სტუმარი დაახღოებით ოცი წღისა იქნებოდა. გოგონას თხეღი, უცნაური ფერის გრძეღი და აწეწიღი თმა მხრებზე ეყარა. მის დიდრონ, მომწვანო-მოღურჯო თვაღებს არაფრისმთქმეღი მზერა ჰქონდა. აღბათ, მისი ტანსაცმეღი მის ტოღებში მოდურად ითვღებოდა. გოგონას ეცვა შავი, მაღაღყეღიანი ტყავის ჩექმები, თეთრი, არცთუ სუფთა ორნამენტებიანი შაღის წინდები, მეტისმეტად მოკღე ქვედაკაბა და შაღის